სასწავლო კურსის (მოდულის) სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	**ენათა კვლევის თეორიული საფუძვლები და გამოყენებითი ასპექტები**
სასწავლო კურსის (მოდულის) კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	სპეციფიკური დარგობრივი კურსი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიური პროფილის დოქტორანტებისათვის.
ECTS	10 კრედიტი, კვირაში 2სთ ლექცია, 2სთ სემინარი, სემესტრში 60 სთ საკონტაქტო, 190 საათი დამოუკიდებელი მუშაობის საათი
ლექტორი (ლექტორები)	**აკად. თ. გამყრელიძე,** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ ლინგვისტური პროგრამების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ტელ. 998891 (სამსახური), 226492 (ბინა). www.science.org.ge/Thomas gamkrelidze კურსი შემუშავდა უცხოელ კოლეგებთან (ალისა ჰარისი, აშშ მასაჩუსეტის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის დეპარტამენტის პროფესორი, დოქტორი; იოსტ გიპერტი გერმანიის მაინის ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, დოქტორი) თანამშრომლობით.
სასწავლო კურსის მიზნები	თეორიული ენათმეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და კვლევის მეთოდების უახლესი მიდგომების გაცნობა და ათვისება: სტრუქტურული, დესკრიფციული, ფუნქციონალური, გენერატიული და კომპიუტერული გრამატიკების მოდელების აგება; სინქრონიული და დიაქრონიული მეთოდების დასწავლა; ენის სოციალური და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	სტუდენტი უნდა ფლობდეს ენათმეცნიერების შესავლისა და ზოგადი ენათმეცნიერების კურსებით გათვალისწინებულ ცოდნას
სასწავლო კურსის ფორმატი	ყოველ თემას ეთმობა 1 ლექცია და 1 სემინარი. ლექციები და სემინარები ინტერაქტიულია და ორიენტირებულია სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე. 6-8 თემის დასრულების შემდეგ ტარდება შემაჯამებელი კოლოკვიუმი (სულ 2 კოლოკვიუმი) როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებზე. საბოლოო გამოცდამდე ყოველი სტუდენტის მიერ მზადდება რეფერატი და პრეზენტაცია (შერჩევით).
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი
შეფასება	**შეფასების ფორმები და ხვედრითი წილი (ერთი სემესტრისათვის):** დასწრება - 10% სემინარი - 10% კოლოკვიუმი - 15% x 2=30% რეფერატი/პრეზენტაცია - 10%

	გამოცდა - 40% საბოლოო შეფასება - 100% **დასწრება და სემინარზე აქტივობა: 10%** **4 ქულა** - ჩართულობა დისკუსიაში; **3 ქულა** - არგუმენტაცია და მსჯელობა ეთიკის ფარგლებში; **3 ქულა** - პასუხიმგებლობა სასწავლო პროცესის მიმართ; **სემინარზე გამოვლენილი ცოდნა: 10%** **4 ქულა** - საშინაო დავალების სახით მიცემული სასემინარო თემის (თეორიული საკითხების) მომზადება (ინდივიდუალური კონსპექტების წარმოდგენა და ზეპირად ძირითადი დებულებების გადმოცემა); **3 ქულა** - თეორიული საკითხების შესახებ მსჯელობა, ანალიზი და ინტერაქტიური დისკუსია; **3 ქულა** - თეორიული საკითხების ცოდნის კონკრეტული ენობრივ მასალაზე პრაქტიკული გამოყენების უნარი. **კოლოკვიუმი: 2 კოლოკვიუმი x 15%= 30%** სტუდენტს ეძლევა თეორიული საკითხი და პრაქტიკული დავალებები; ყოველი კოლოკვიუმი ფასდება 15 ქულით: **15-13 ქულა** - სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ თეორიულ მასალას; ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; ჩანს ლოგიკური აზროვნება, ანალიზის უნარი და თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენების ხარისხი მაღალია. **12-9 ქულა:** სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებული განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; ჩანს ლოგიკური აზროვნება და კომპეტენცია, მაგრამ პრაქტიკულად თეორიული დებულებების გამოყენების ხარისხი დაბალია. **8-6 ქულა:** სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი მასალა, აღინიშნება რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა და პრაქტიკული ტიპის დავალებების შესრულებისას უშვებს შეცდომებს. **6-2 ქულა:** თეორიული საკითხებში გარკვეულია მხოლოდ ფრაგმენტულად და ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებებს. **1-0 ქულა:** პასუხი თეორიული საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **პრეზენტაცია (ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის სახით) 10 %** **3 ქულა** - გამართულია ნაშრომის ფორმალური მხარე (ფორმატი), რომელშიც შესაძლებელია გაერთიანდეს: რეგლამენტის დაცვა, მასალები, გაფორმების ვიზუალური მხარე და სხვ. **5 ქულა** - გამართულია ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგები და მათ არგუმენტირებული დასაბუთება და სხვ.

	2 ქულა - პრეზენტაციის ტექნოლოგია ანუ კონტაქტი აუდიტორიასთან . **საბოლოო გამოცდა (წერილობითი): 40 %** სტუდენტს ეძლევა (ბილეთების სახით) ორი თეორიული საკითხი და 4 ტესტის ტიპის პრაქტიკული დავალება. საბოლოო შეფასებაა 40 ქულა. შეფასების კრიტერიუმები: **20-17 ქულა** - სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; კარგად ართმევს თავს პრაქტიკული დავალებების შესრულებას. **16-14 ქულა:** სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ თეორიულ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; პრაქტიკულ დავალებებში კარგად ჩანს ლოგიკური აზროვნება, თუმცა უშვებს მცირე შეცდომებს. **13-10 ქულა:** სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება უმნიშველო შეცდომები თეორიული საკითხების გადმოცემისას. პრაქტიკულ დავალებებში უშვებს რამდენიმე არსებით შეცდომას, მაგრამ მთლიანობაში თავს ართმევს ამოცანების გადაწყვეტას. **9-6 ქულა:** სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი მასალა, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა; პრაქტიკულ დავალებებში ლოგიკური აზროვნებისა და თეორიული მასალის კომპეტენციის დონე დაბალია, უშვებს არსებით შეცდომებს. **5-2 ქულა:** პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმნეტები; პრაქტიკულ დავალებებს ვერ ასრულებს. **1 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის. **0 ქულა:** პასუხი საერთოდ არაა მოცემული. საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - 11 ქულა
სავალდებულო ლიტერატურა	* თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია: თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: "თსუ. გამომცემლობა". 2003.
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	1. რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირება და ტექსტის აგება: პრაქტიკული რჩევები, თბილისი, 2009 2. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1999. 3. თ. გამყრელიძე. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბილისი, 1989-1990. 4. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965. 5. თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000. 6. თ. გამყრელიძე, ენა და ენობრივი ნიშანი, თბილისი, 2008. 7. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა,

	თბილისი, 1965. 8. ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი, 1976. 9. ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბილისი, 1963. 10. გ. რამიშვილი, ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბილისი, 1978. 11. ე. სოსელია, სემანტიკური უნივერსალიები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, თბილისი, 2009. 12. ფ. დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2002. 13. ნ. შენგელაია, არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა, თბილისი, 2000. 14. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968. 15. ზ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1975. 16. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1949. 17. Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II, თბილისი, 1984. 18. Дж. Гринберг, Квантитативный подход к морфологической типологии языков, Новое в лингвистике, III, М., 1963. 19. Г. А. Климов. Типология языков активного строя, М., 1983. 20. Семиотика, Сборник переводов, М., 1983. 21.А.Мейе, Сравнительный метод в историческом языкознании, М., 1954. 22. Л. Теньер, Основы структурного синтаксиса, М., 1988. 23. Н. С. Трубецкой, Основы фонологии, М., 1960. 24. Н. Хомский, Аспекты теории синтаксиса, М., 1972. 25. Дж. Гринберг, Ч. Осгуд, Дж. Дженкинс, Меморандум о языковых универсалиях, Новое в лингвистике, Языковые универсалии, V, М. 1970. 26.Ч. Хоккетт, Проблема языковых универсалий, Новое в лингвистике, 5, М. 1970. 27.Th. Bynon, Historical Linguistics, Cambridge, 1977. 28.B. Comrie, Language Universals and Linguistic Typology, Chicago, 1989. 29. A. Wierzbicka, Semantics: Primes and Universals, Oxford&Ney York, 1996 ყველა დასახელებული სახელმძღვანელო (როგორც ძირითადი, ასევე - დამატებითი) ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, ინსტიტუტისა და პირად ბიბლიოთეკებში.
სწავლის შედეგები	**ა) ცოდნა და გაცნობიერება** ის შეიძენს თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც მისცემს მას საშუალებას რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონის შესაბამისად გააფართოოს არსებული ცოდნა და გამოიყენოს

	ინოვაციური მეთოდები. ის შეძლებს არსებული ცოდნის ახლად წარმოქმნილი თეორიების ფარგლებში გადაფასება-გადააზრებას და განახლებული ცოდნის გაცნობიერებას. **ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** მას შეეძლება ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, ამ გეგმის განხორციელება და მონიტორინგი. ასევე, ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული უახლესი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება. მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ლინგვისტური აზროვნების განვითარება და უახლესი მეთოდოლოგიური ხერხების პრაქტიკული ათვისება, შესაბამისი ლიტერატურიდან ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი, სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას წარმატებით და სათანადო პროფესიულ დონეზე წარმართონ მუშაობა მათთვის საინტერესო თემატიკის ფარგლებში, რაც აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. **გ) დასკვნის უნარი** ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი ხელს შეუწყობს მის მიერ ახალი მეთოდოლოგიების შემუშავებასა და განვითარებას, რაც, თავი მხრივ, დაეხმარება პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაში. **დ) კომუნიკაციის უნარი** ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთკავშირის დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი აამაღლებს სამეცნიერო, მათ შორის საერთაშორისო, საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვის ხარისხს; უცხო ენის სათანადო დონეზე ცოდნა მნიშვნელოვნად გაზრდის მისი სამეცნიერო კომუნიკაციისა და დარგობრივი თანამშრომლობის უნარს. **ე) სწავლის უნარი** უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, დოქტორანტი ყოველთვის მზად იქნება ახალი იდეებისა და პროცესების მისაღებად და გასავითარებლად სწავლის, ნებისმიერი საქმიანობისა თუ კვლევის პროცესში. დოქტორანტს შეეძლება ეს ახალი ცოდნა გამოიყენოს თავის სამეცნიერო პრაქტიკაში. **ვ) ღირებულებები** დოქტორანტს გამოუმუშავდება მეცნიერული საქმიანობის უნივერსალური ღირებულებითი ფასეულობების ერთგულება. მას შეეძლება ღირებულებათა დამკვიდრების გზების მოძიება, კვლევა და მათ დასაფუძნებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	ზეპირსიტყვიერი და ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია/ დებატები, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი
სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები	----------

დანართი 1

სასწავლო კურსის შინაარსი

N	ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის/ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. თემა	ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)
1	ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერება ენის ფუნქციონირებისა და რაობის შესახებ. ენობრივი რელატივიზმი; ენობრივი «მსოფლხედვა»; ენა როგორც არა მხოლოდ სინამდვილის ასახვის, არამედ სინამდვილის შექმნის საშუალება. ვ. ფონ ჰუმბოლდტის ენერგეტული თეორია	[*], გვ. 19-28 [10], (თავები შერჩევით)
2	ენა როგორც საკომუნიკაციო კოდი; ენობრივ შეტყობინებათა ინფორმაციული ანალიზის საკითხები; სრული და არასრული სისტემები; ელემენტთა განაწილება სისტემაში - დისტრიბუცია; სისტემის ანალიზისა და სინთეზის მეთოდები; შეტყობინების ინფორმაციის ზომა, ინფორმაციის საშუალო რაოდენობა, საკომუნიკაციო სისტემის ენტროპია და სიჭარბე.	[*], გვ. 36-99
3	ენათმეცნიერებისა და სემიოტიკის მიმართება; ენა როგორც ნიშანთა სისტემის ერთ-ერთი სახე; ნიშანთა სიტემების ზოგადი თეორიის საფუძვლები; ნიშანთა შესწავლის ასპექტები: სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა; ნიშანთა სახეები: ხატი, სიმბოლო, ინდექსი; მიმართებები ნიშანთა შორის: სინტაგმატიკა-პარადიგმატიკა; დიქოტომიები: სინქრონია-დიაქრონია; ენისა - მეტყველება.	[*], გვ. 29-31 [12], გვ. 73-81; [18], (სტატიები შერჩევით)
4	ფერდინანდ დე სოსიურის მოძღვრება ენობრივი ნიშნის პირობითობის შესახებ; ენის შინაარსისა და გამოხატულების. უძველესი ანტიკური თეორიები ნიშნის პირობითობის შესახებ; დამატებითობის ფუნდამენტური პრინციპი: «აღსანიშნსა» და «აღმნიშვნელს» შორის არსებული «ვერტიკალური» და «ჰორიზონტალური» მიმართებები.	[*], გვ. 31-36. [5], გვ. 239-249 [12], გვ. 81-104.

5	ზოგადი ფონეტიკა და მისი ქვედარგები: არტიკულაციური, აკუსტიკური და პერცეფციული ფონეტიკა; საარტიკულაციო ორგანოები და ბგერათა არტიკულაციური დახასიათება: ჰომოგენური და ჰომორგანული ბგერები.	[*], გვ. 93-116 [2], გვ. 12-39
6	სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაციის პრინციპები; ქართულ თანხმოვანთა "განდასება" და ტრადიციული კლასიფიკაციის ახლებური ინტერპრეტაცია; ბგერათა წარმოქმნის ფაზები და ძირითადი ფონეტიკური პროცესები; ენის პროსოდიული მახასიათებლები.	[5], გვ. 249-256
7	ფუნქციონალური ფონეტიკის (ფონოლოგიის) ცალკე დარგად ჩამოყალიბება; ფონეტიკისა და ფონოლოგიის გამიჯვნა; ფონოლოგიური თეორიები და ძირითადი ცნებები: ფონი, ფონემა და ალოფონი; ფონოლოგიური ანალიზის პრინციპები: დისტრიბუცია; ოპოზიცია და ოპოზიციათა სახეები; ოპოზიციის ნეიტრალიზაცია და არქიფონემა.	[*], გვ. 116-126 [23], გვ. 7-37
8	ფონემათა დისტრიბუციის ზოგადი აღრიცხვის მათემატიკური მოდელი; ფონემის განსაზღვრა დიფერენციალურ ნიშანთა კონად; მარკირების იერარქიული მიმართება ფონოლოგიაში.	[*], გვ. 126-178 [8], გვ. 9-31
9	გრაფიკული ენა როგორც სამეტყველო ენის შეზღუდულობის საკომპენსაციო სისტემა; დამწერლობის უძველესი ფორმები: პიქტოგრაფია-იდეოგრაფია. ფონოგრაფიული დამწერლობის სეხეები: მარცვლოვანი, სილაბურ-კონსონანტური და ანბანური დამწერლობები. ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობა. დამწერლობათა დეკოდირების ზოგადი პრინციპები.	[*], გვ. 492-522 [3], (თავები შერჩევით) [16], (თავები შერჩევით)
10	სტრუქტურალიზმი მორფოლოგიაში: სიტყვა როგორც მორფოლოგიური კონსტრუქცია; თავისუფალი და ბმული ფორმები; სიტყვის აგებულება და სხვადასხვა სახის პარადიგმები.	[*], გვ. 178-188
11	მორფოლოგიური ანალიზის სტრუქტურული პრინციპები: მორფი, მორფემა და ალომორფი; ნულოვანი მორფემა; მორფონოლოგია; გამონათქვამის სეგმენტაცია მორფებად: მორფოლოგიურ ფორმათა კვადრატი; მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშანი; გრამატიკული კატეგორია როგორც სემანტიკური მიმართებების ფორმალური გამოხატულება.	[*], გვ. 189-206
12	სინტაქსური თეორიები: ტრადიციული, სტრუქტურული, ფუნქციონარული, გენერატიული და პრაგმატიკული; წინადადების უშუალო შემადგენელთა მეთოდით ანალიზი; გრამატიკულად «სწორი» და «არასწორი» კონსტრუქციები; «აზრიანი» და «უაზრო» გამონათქვამები.	[*], გვ. 246-266
13	ლ. ტენიერის სტრუქტურული სინტაქსი - ვალენტობა და აქტანტთა სახეები. "ვალენტობისა" და "პირიანობის" მიმართება და შანიძისეული "პირიანობის"	[5], გვ. 132-151 [22],(თავები შერჩევით)

	რეინტერპრეტაცია.	
14	ტაქსონომიური და გენერატიული გრამატიკების განსხვავება. წარმომშობ გრამატიკათა მოდელები; ტრანსფორმაციული გრამატიკა: ბირთვული და არაბირთვული წინადადებები; ნ. ჩომსკის ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკის მოდელი და მისი განვითარება. სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები.	[*], გვ. 266-329 [24], (თავები შერჩევით)
15	ტექსტის ლინგვისტიკა. ტექსტი როგორც უმაღლესი ენობრივი დონის ერთეული და მისი აგების ფორმალური საშუალებები; კონტექსტის მნიშვნელობა ტექსტისათვის; ფუნქციური ტექსტების სპეციფიკა; სტრუქტურული პოეტიკა; პარალინგვისტიკა; დისკურსის ცნება.	[*], 434-448 [13], (თავები შერჩევით)
16	ტექსტის პრაგმატიკული ასპექტები და წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა; ძველი-ახალი ინფორმაციის კოდირება ტექსტში: ტოპიკი, ფოკუსი და საერთო ფონი.	[1], (თავები შერჩევით)
17	სემანტიკური თეორიები და მნიშვნელობათა ანალიზის მეთოდები; სემა და სემანტემა; მნიშვნელობათა ლინგვისტური ტიპოლოგია. ა. ვეჟბიცკას სემანტიკური თეორია: სემანტიკური პრიმიტივები.რ. მონტეგიუს ფორმალური სემანტიკა.	[*], გვ. 335-394 [*], გვ. 332-335 [29], (თავები შერჩევით)
18	კომპარატივისტიკა. ენათა იზომორფიზმი და ალომორფიზმი; შედარებაზე დაფუძნებული ენათა ტიპოლოგიური კვლევა. ენათა კლასიფიკაცია დაფუძნებული ძირეული მორფემებისა და დამხმარე ელემენტების ტიპოლოგიაზე. ენათა კონტენსიურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია სინტაქსურ კონსტრუქციათა ტიპების მიხედვით: ერგატიული, ნომინატიური და აქტიური ენები.	[*], გვ. 399-434 [21], (თავები შერჩევით) [26], (თავები შერჩევით)
19	ლინგვისტური უნივერსალიები და მათი სახეები: აბსოლუტური და კვაზიუნივერსალიები; იმპლიკაციური უნივერსალიები; უნივერსალური გრამატიკა; გრინბერგისა და ლემანის სიტყვათა რიგის ტიპოლოგიათა მსგავსება-განსხვავებები და უნივერსალური კანონზომიერებები.	[16], გვ. 60-94 [28], (თავები შერჩევით)
20	დიაქრონიული ენათმეცნიერება და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი; ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თეორიული საფუძვლები - ნიშნის ნებისმიერობის პრინციპი და ბგერათშესატყვისობა. მონათესავე ენები და ფუძე-ენის რეკონსტრუქცია; შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის პრინციპები.	[*], გვ. 522-565 [12], (თავები შერჩევით) [27], (თავები შერჩევით)
21	ლინგვისტური პალეონტოლოგია: მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ხალხთა წინარე სამშობლო, ისტორიული მიგრაციები და ამოსავალი ფუძე-ენიდან წარმომდგარი მონათესავე ენების ფორმირება. ენა და კულტურა.	[*], გვ. 572-580 [21], (თავები შერჩევით)
22	‘’გლოტალური თეორია”: საერთო-ინდოევროპული	[*], გვ. 580-589

	კონსონანტიზმის რეინტერპრეტაცია; ‘’ლარინგალური თეორია’’ და საერთო-ინდოევროპული ენის ვოკალიძმი.	[17], გვ. 152-213
23	ქართველური ენები; ქართველური და ინდოევროპული რეკონსტრუქციები.	[7], (თავები შერჩევით) [4], (თავები შერჩევით) [5], გვ. 14-132
24	"ნოსტრატული თეორია"; გლოტოქრონოლოგია და ლექსიკოსტატისტიკა.	[*], გვ. 588-602
25	ენათა გენეალოგიური კლაციფიკაცია: ინდოევროპული, სემიტური, იბერიულ-კავკასიური და სხვ. ენათა ოჯახები.	[*], გვ. 613-637
26	ენათა კონტაქტები; ენათა ინტერფერენციისა და დივერგენციის საკითხები. არეალური ლინგვისტიკა და ენათა ტიპოლოგიური სიახლოვის განმსაზღვრელი არეალური ნიშნები.	[*], გვ. 602-613
27	სოციოლინგვისტიკა - მეცნიერება ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების შესახებ; იდიოლექტი, სოციალური დიალექტი (ჟარგონი) და გეოგრაფიული დიალექტი. ენისა და დიალექტს გამოჯვნის პრობლემა: ტალღების თეორია და დიალექტის განსაზღვრის წმინდა ლინგვისტური და სოციოლინგვისტური მიდგომები; დიგლოსია და ბილინგვიზმი; კრეოლური და ფიჯინ ენები.	[*], გვ. 449-465
28	ფსიქოლინგვისტიკა და კოგნიტიური ლინგვისტიკა; ენა, აზროვნება და ენობრივი კატეგორიზაციის პრინციპები; კონცეპტუალური აზროვნება და კონცეპტუალური სტრუქტურები; ენა და მეხსიერება. ენის ათვისება; რ.იაკობსონის უნივერსალიები და ბავშვის ენობრივი განვითარების საფეხურები; ენობრივი სისტემის მოშლა - აფაზია. ენობრივი უნარი და გენეტიკური კოდი.	[*], გვ. 465-472 [*], გვ. 472-488 [*], გვ. 473-482
29	ენობრივი სტრუქტურების მოდელირება; მათემატიკური და კომპიუტერული ლინგვისტიკა.	[*], გვ. 488-492
30	ენათმეცნიერების უახლესი დარგები (კომპიუტერული და კოგნიტიური ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ნეიროლინგვისტიკა, ბიოლინგვისტიკა) და ხელოვნური ინტელექტის შექმნის პრობლემატიკა.	[*], გვ. 465-472 [*], გვ. 472-488 [*], გვ. 473-482 [*], გვ. 488-492